# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/127

ქ. თბილისი

22 ივლისი 2025წ

**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი მექანიკის ინჟინერიის, მეტალურგიისა და ტრანსპორტის დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის განხილვის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 06 ივნისის №01-06-02/21 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების და მათი სამდივნოების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-04/120 დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი მექანიკის ინჟინერიის, მეტალურგიისა და ტრანსპორტის დარგობრივი კომისიის 2025 წლის 21 ივლისის რეკომენდაციის, კონკურსანტების თანხმობებისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მექანიკის ინჟინერიის, მეტალურგიისა და ტრანსპორტის დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, მექანიკის ინჟინერიის, მეტალურგიისა და ტრანსპორტის საგანთა №8 ჯგუფში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის ერთი

საშტატო ერთეული (390 სთ) გაიყოს 2 (ორ) არასრულ საშტატო ერთეულად (195 სთ), დაემატოს არსებულ 2 (ორ) არასრულ საშტატო ერთეულს და აღნიშნულ საგანთა ჯგუფში ასოცირებული პროფესორის საკონკურსო ადგილებად ჩაითვალოს 4 (195 სთ) საშტატო ერთეული.

2. დადგენილება გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**